ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 299

16 ივლისი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა №56/ ვაჟა-ფშაველას გამზირი, I კვარტლის კორპუს №17-ში მდებარე 12.51 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.03.009.006.01.003) და 19.58 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.03.009.006.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა №56/ვაჟა-ფშაველას გამზირის I კვარტლის კორპუს №17-ში მდებარე 12.51 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.03.009.006.01.003) და 19.58 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.03.009.006.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 28 ივნისის №22.971.1068 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა №56/ვაჟა-ფშაველას გამზირის I კვარტლის №17 კორპუსის 1 სართული, ბინა №3-ში მდებარე 12.51 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.03.009.006.01.003) და ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა №56/ვაჟა-ფშაველას გამზირის I კვარტლის №17 კორპუსის 1 სართული, ბინა №7-ში მდებარე 19.58 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.03.009.006.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, გიორგი კურტანიძისთვის (პ/ნ. 57001030796) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე